

## მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის

### სამსახურის 2020 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მცხეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა შიდა აუდიტის ხარისხის გარე შეფასება.

შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში შევიდა ცვლილება, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 32, პუნქტი 10 -ის შესაბამისად, ინსპექტირების ფუნქცია გაიმიჯნა შიდა აუდიტის ფუნქციისგან და ინსპექტირების განყოფილება ჩამოყალიბდა მონიტორინგის განყოფილებად.

შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში შევიდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება. შიდა აუდიტორთა პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად შიდა აუდიტის სუბიექტი განახორციელებს როგორც მარწმუნებელ, ასევე საკონსულტაციო მომსახურებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით შიდა აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რისკზე დაფუძნებული სამ წლიანი (2021-2023) სტრატეგიული და წლიური (2021) გეგმები.

პანდემია (COVID-19) შიდა აუდიტის სამსახურისთვის წარმოადგენს როგორც საფრთხეს, ასევე შესაძლებლობას, ამ პერიოდის განმავლობაში შიდა აუდიტის თანამშრომლებმა სახელმწიფო აუდიტის სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტში გაიარეს რამდენიმე ტრენინგ კუსი (online) და აიმაღეს კვალიფიკაცია.

2020 წელს შიდა აუდიტის ჯგუფმა განახორციელა პირველი სისტემური აუდიტი, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტის ქვეპროგრამის, წყლის სისტემების რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის პროცესში კონტროლის მექანიზმების შეფასებას.